შპს მილენიუმ

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 6

1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. მომზადების საფუძველი 7
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 8
4. ფული და ფულის ექვივალენტები 11
5. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლისთვითღირებულება 11
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 11
7. ხელფასები და სხვა სარგებელი 11
8. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 12
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,224,415	1,230,086	1,362,711
სხვა მიმდინარე აქტივები		5,067	5,067	15,823
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1,229,482**	**1,235,153**	**1,378,534**
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		26,904	35,056	21,185
სულ გრძელვადიანი აქტივები		**26,904**	**35,056**	**21,185**
სულ აქტივები		**1,256,386**	**1,270,209**	**1,399,719**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		16,096	16,096	3,260
სხვა ვალდებულებები		-	-	41,346
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**16,096**	**16,096**	**44,606**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		104,766	104,766	46,600
გაუნაწილებელი მოგება		1,135,524	1,149,347	1,308,513
სულ საკუთარი კაპიტალი		**1,240,290**	**1,254,113**	**1,355,113**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**1,256,386**	**1,270,209**	**1,399,719**

დირექტორი ---------- თედო ჭანტურია

მთავარი ბუღალტერი ---------- თეონა კობიძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	5	-	1,151,305
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	5	-	-
საერთო მოგება		-	**1,151,305**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	-	(355,286)
ხელფასები და სხვა სარგებელი	7	-	(807,014)
ცვეთისა და ამორტიზაცის ხარჯი		(8,152)	(6,916)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(8,152)	(17,911)
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(5,671)	(82,916)
მოგება დაბეგვრამდე		(13,823)	(100,827)
მოგების გადასახადი		-	(58,339)
წმინდა მოგება		(13,823)	(159,166)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	46,600	1,308,513	1,355,113
საწესდებო კაპიტალის შემცირება	58,166	-	58,166
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(159,166)	(159,166)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	104,766	1,149,347	1,254,113
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(13,823)	(13,823)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	104,766	1,135,524	1,240,290

დირექტორი ---------- თედო ჭანტურია

მთავარი ბუღალტერი ---------- თეონა კობიძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მილენიუმ დაფუძნდა 2020 წლის 6 ივლისს. კომპანიის მისამართია: ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, შარტავას ქუჩა N29, სადარბაზო 1, სართული 4, საოფისე ფართი N4 . კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: : 405401667 .

კომპანიის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს ალექსანდერ ჰენრი აიახ (3- 2741546-9, 30229563/ისრაელი).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომპიუტერული დაპროგრამების საფუძვლები. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი: თედო ჭანტურია (პ/ნ 01011087399).

დირექტორი ---------- თედო ჭანტურია

მთავარი ბუღალტერი ---------- თეონა კობიძე

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

დირექტორი ---------- თედო ჭანტურია

მთავარი ბუღალტერი ---------- თეონა კობიძე

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ

ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	50
მანქანა-დანადგარები	10
სატრანსპორტო საშუალებები	7-10
ოფისის აღჭურვილობა	10
ავეჯი	20
სხვა ძირითადი საშუალებები	10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, "ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

დირექტორი ---------- თედო ჭანტურია
მთავარი ბუღალტერი ---------- თეონა კობიძე

3.4 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.
როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.
ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

დირექტორი ---------- თედო ჭანტურია

მთავარი ბუღალტერი ---------- თეონა კობიძე

4. ფული და ფულის ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-23	31-12-22
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,043	14,043
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	1,210,372	1,216,043
სულ	**1,224,415**	**1,230,086**

5. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულებული სტადიის მიხედვით. შემოსავლის თვითღირებულებად ითვლება ხელფასი რომელსაც იღებს თანამშრომელი მომსახურების გასაწევად.

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
იჯარის ხარჯი	-	141,651
ბანკის საკომოსიო	-	95,783
საკონსულტაციო ხარჯი	-	45,766
სამეურნეო ხარჯი	-	19,658
კომუნალური ხარჯი	-	17,662
სატრანსპორტო ხარჯი	-	16,225
იურიდიული ხარჯი	-	7,957
სარეკლამო ხარჯი	-	2,763
სხვა	-	7,821
სულ	-	**355,286**

დირექტორი ---------- თედო ჭანტურია
მთავარი ბუღალტერი ---------- თეონა კობიძე

7. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	-	33,845
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	-	773,169
სულ	-	**807,014**

8. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ არ ყოფილა, ხოლო 2022 წელს 33,845 ლარი.

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

დირექტორი ---------- თედო ჭანტურია

მთავარი ბუღალტერი ---------- თეონა კობიძე